ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7858946

ნომერი: AR11127499

თარიღი : 05.02.2026

გაცემის თარიღი : 25.03.2026

გაცნობის თარიღი : 26.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/109);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)

ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, 26 მაისის სახელობის მოედანი, N1, (ნაკვეთი 33/109) შპს „სპორტის სასახლის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია სათამაშო სპორტული მოედნების მოწყობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი 1-ის თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892025093492 23/09/2025წ. , საკადასტრო კოდი N 01.10.13.033.109, არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, 26 მაისის სახელობის მოედანი, N1, (ნაკვეთი 33/109) შპს „სპორტის სასახლის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია სათამაშო სპორტული მოედნების მოწყობის შესაძლებლობას.
- სამუშაოების დაწყებამდე გადატანილ იქნას სს „თელასი“-ს საკუთრებაში არსებული (ს/კ: N01.04.394) ხაზობრივი ნაგებობა.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.